პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

-- აგვისტო 2025 წელი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #----------

„ქალაქ ბათუმში აეროპორტის უბანში მუხრან მაჭავარიანის ქუჩიდან ხახულის ქუჩამდე გზის მონაკვეთისათვის მიხეილ შარაშიძის ქუჩისა და მიხეილ შარაშიძის I, II, III, IV და V ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ 2011 წლის 12 სექტემბრის N234 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქ. ბათუმში აეროპორტის უბანში მუხრან მაჭავარიანის ქუჩიდან ხახულის ქუჩამდე გზის მონაკვეთისათვის მიხეილ შარაშიძის ქუჩისა და მიხეილ შარაშიძის I, II, III, IV და V ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ 2011 წლის 12 სექტემბრის N234 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. ბათუმში აეროპორტის უბანში მუხრან მაჭავარიანის ქუჩიდან ხახულის ქუჩამდე გზის მონაკვეთისათვის მიხეილ შარაშიძის ქუჩის, მიხეილ შარაშიძის I, II, III, IV ჩიხის სახელისა და ქალაქ ბათუმში მიხეილ შარაშიძის **მე-V** (N103/მომიჯნავე N105-დან თოდოგაურის დასახლების N37-მდე მონაკვეთი) ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მასზე გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ“

ბ) განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:“.

გ) განკარგულების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში, აეროპორტის უბანში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩიდან ხახულის ქუჩამდე გზის მონაკვეთს მიენიჭოს დამსახურებული პედაგოგის, ტექნოლოგისა და მეცანატის მიხეილ შარაშიძის ქუჩისა და მიხეილ შარაშიძის I, II, III, IV ჩიხის სახელი.

დ) განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინარსის 1^1 პუნქტი.

„$1^{1.}$. ქალაქ ბათუმში მიხეილ შარაშიძის **მე-V** (N103 / მომიჯნავე N105-დან თოდოგაურის დასახლების N37-მდე მონაკვეთი) ჩიხი ჩამოყალიბდეს ქუჩად და მიენიჭოს გია ყანჩელის სახელი.“.

ე) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში აეროპორტის უბანში მუხრან მაჭავარიანის ქუჩიდან ხახულის ქუჩამდე გზის მონაკვეთისათვის მიხეილ შარაშიძის ქუჩისა და მიხეილ შარაშიძის I, II, III, IV და V ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ 2011 წლის 12 სექტემბრის N234 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

2025 წლის 2 ივლისს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა, ქალაქ ბათუმში, შარაშიძის მე-V ჩიხი N14-ში მცხოვრები მოქალაქე ოთარ ჯორბენაძის კოლექტიური წერილი N19/15251835-15. წერილში აღნიშნული იყო, რომ შარაშიძის მე -V ჩიხი არ წარმოადგენდა ჩიხს და არის გამჭოლი ქუჩა (იწყება მიხეილ შარაშიძის N103(საკ:05.31.07.709) და მომიჯნავე N 105(საკ:05.31.07.710)-დან და უკავშირდება თოდოგაურის დასახლების N37). აქვე, აღნიშნულია, რომ ქუჩის სახელის შერჩევაში მოსახელობა გვიცხადებს სრულ ნდობას.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს, კახაბრის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრიდან 2025 წლის 16 ივლისს მიღებული წერილით N37-1425197534 დასტურდება (საკადასტრო, სატელიტური, ტოპოგრაფიული და სქემატური მასალებით), რომ მიხეილ შარაშიძის ქუჩის ეგრეთ წოდებული „მე-V ჩიხი“ N103(საკ:05.31.07.709) და მომიჯნავე N105(საკ:05.31.07.710)-დან დაწყებული თოდოგაურის დასახლების N37-მდე მონაკვეთი წარმოადგენს გამჭოლ ქუჩას და 2011 წლის 12 სექტემბრის N234 განკარგულებით მოხდა ჩიხის სახელდებით რეგისტრაცია და მიენიჭა შარაშიძის მე-V ჩიხი, რაც შეცდომაა.

ვინაიდან ზემოთ ხსენებული ჩიხი გამჭოლია და რეალურად წარმოადგენს ქუჩას, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ქუჩად და მიენიჭოს შესაბამისი სახელი.

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის სხდომაზე კომისიის წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა „ბათუმი - საქართველოს კულტურის დედაქალაქი 2025“-ს ფარგლებში, მსოფლიოში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, სსრკ -ის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურიატის და ღირსების ორდერის კავალერის **გია ყანჩელის** პატივსაგებად, შემდგომში ჩამოყალიბებულ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

ქალაქ ბათუმში, მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და **გია ყანჩელის** სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე სახელდებისათვის განსაზღვრული 20 წლიანი ვადის შემცირების მიზნით, დაშვებული იქნას გამონაკლისი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის N15.15252415 განკარგულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მართებულად მიმაჩნია, ქალაქ ბათუმში მიხეილ შარაშიძის **მე-V** (N103 / მომიჯნავე N105-დან თოდოგაურის დასახლების N37-მდე მონაკვეთი) ჩიხი ჩამოყალიბდეს ქუჩად და მიენიჭოს გია ყანჩელის სახელი.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია, შარაშიძის ჩიხის მოსახლეობა

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ნატალია ძიძიგური**